შპს „კონფიდენს გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური და

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 11
5. შემოსავალი 12
6. სპა მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები 12
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 12
8. სხვა საოპერაცი ო შემოსულობა 12
9. ფინანსური ხარჯი 13
10. საკურსო მოგება/(ზარალი) 13
11. ძირითადი საშუალებები 14
12. საინვესტიციო ქონება 15
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები 15
14. გადასახადები 15
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16
16. ფული და ფულის ეკვივალენტები 16
17. კაპიტალი 16
18. მიღებული სესხები 16
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17
20. პირობითი ვალდებულებები 17
21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 17
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 17

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ 19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები 21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები 21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 21

ECOVIS®
GEORGIA AUDIT

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის:აფაქიძის ქუჩა #5,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი, საქართველო, 0160

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კონფიდენს გრუპის“ მენეჯმენტსა და დამფუძნებელს:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „კონფიდენს გრუპის“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, ჯგუფი 2023 წლის ბოლომდე არ მიჯნავდა ვაუჩერების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის იმ ნაწილს, რისი შესაბამისი მომსახურებაც არ აქვს მიწოდებული ვაუჩერის მფლობელისთვის. შემოსავლების დროში გამიჯვნა სავალდებულოა მსს ფასს სტანდარტის 23-ე განყოფილების შესაბამისად. ჯგუფმა აღნიშნული ეფექტი დაითვალა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდზე და შესაბამისად გაასწორა აღნიშნული უზუსტობა, თუმცა ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული უზუსტობის ეფექტი 2023 წლების 31 დეკემბრით წარდგენილ მიღებულ ავანსებსა და 2023 წელს სპა მომსახურებებიდან აღიარებულ შემოსავალზე.

მშობელი კომპანია ფლობს და მართავს სპა და გამაჯანსაღებელ ცენტრს. აღნიშნული საქმიანობიდან კომპანია ვერ აგენერირებს პოზიტიურ ფულად ნაკადებს და არსებობს ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების გაუფასურების ნიშნები მსს ფასს-ის 27-ე განყოფილების შესაბამისად. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში სავალდებულოა ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა რაც მშობელ კომპანიას არ ჩაუტარებია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულება შესაბამისი თარიღებისთვის შეადგენს 1,927 და 2,051 ათას ლარს. შესაბამისად, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ ღირებულებებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-22 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ სსს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

სსს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი

ECOVIS®
GEORGIA AUDIT

აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული საღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტის“ სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

14 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო.

აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტის“ სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

14 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო.

შპს „კონფიდენს გრუპი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	7,626	7,526
სულ შემოსავალი		**7,626**	**7,526**
სპა მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(3,087)	(2,846)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,579)	(3,254)
კომერციული ხარჯები		(118)	(80)
სხვა საოპერაციო შემოსულობა	8	706	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(71)
საოპერაციო მოგება		**1,548**	**1,275**
ფინანსური ხარჯი	9	(5,684)	(5,662)
საკურსო მოგება/(ზარალი)	10	(1,931)	192
ზარალი დაბეგვრამდე		**(6,067)**	**(4,195)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		**(6,067)**	**(4,195)**
წლის სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(6,034)	(4,162)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(33)	(33)
		(6,067)	**(4,195)**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

ოზგურ დურდაბაქი
დირექტორი

ნინო გიგუაშვილი
მთავარი ბუღალტერი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	**2024**	**2023**
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	7,626	7,526
სულ შემოსავალი		**7,626**	**7,526**
სპა მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(3,087)	(2,846)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,579)	(3,254)
კომერციული ხარჯები		(118)	(80)
სხვა საოპერაციო შემოსულობა	8	706	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(71)
საოპერაციო მოგება		**1,548**	**1,275**
ფინანსური ხარჯი	9	(5,684)	(5,662)
საკურსო მოგება/(ზარალი)	10	(1,931)	192
ზარალი დაბეგვრამდე		**(6,067)**	**(4,195)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		**(6,067)**	**(4,195)**
წლის სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(6,034)	(4,162)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(33)	(33)
		(6,067)	**(4,195)**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

ოზგურ დურდაბაქი დირექტორი	ნინო გიგუაშვილი მთავარი ბუღალტერი

5-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,949	2,075
საინვესტიციო ქონება	12	39,220	41,251
არამატერიალური აქტივები		9	9
სულ გრძელვადიანი აქტივები		**41,178**	**43,335**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	107	149
საგადასახადო აქტივი	14	*25*	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	*323*	457
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	1,084	732
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,539**	**1,338**
სულ აქტივები		**42,717**	**44,673**
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი	17	(18,235)	(12,566)
სულ მფლობელის კაპიტალი		**(18,235)**	**(12,566)**
არამაკონტროლებელი წილი		764	797
სულ კაპიტალი		**(17,471)**	**(11,769)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	18	50,452	44,109
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**50,452**	**44,109**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	14	-	11
მოკლევადიანი სესხები	18	9,220	9,721
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	516	2,601
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**9,736**	**12,333**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**42,717**	**44,673**

5-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	დაუფარავი ზარალი	სულ მფლობელების კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	**(8,404)**	**(8,404)**	**830**	**(7,574)**
წლის სრული ზარალი	(4,162)	(4,162)	(33)	(4,195)
31 დეკემბერი 2023	**(12,566)**	**(12,566)**	**797**	**(11,769)**
მეწილეებთან განხორციელებული ოპერაციები (შენიშნვა 17)	365	365	-	365
წლის სრული ზარალი	(6,034)	(6,034)	(33)	(6,067)
31 დეკემბერი 2024	**(18,235)**	**(18,235)**	**764**	**(17,471)**

5-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	**(6,067)**	**(4,195)**
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	881	1,002
ფინანსური ხარჯი	5,684	5,662
საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვის რევერსირება	-	(22)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	21	-
საკურსო (მოგება)/ზარალი	1,931	(192)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	**2,450**	**2,255**
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	21	(18)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	131	1,677
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	(25)	-
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(2,086)	(552)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(11)	(1,405)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	**480**	**1,957**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(1,268)	(1,320)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაში)	**(788)**	**637**
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(122)	(108)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	1,398	21
საინვესტიციო აქტივობებში მიღებული (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**1,276**	**(87)**
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	(135)	(265)
ფინანსურ აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(135)**	**(265)**
ნეტო ზრდა ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	**353**	**285**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**732**	**448**
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულალდ სახსრებზე	(1)	(1)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,084**	**732**

5-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

კონფიდენს გრუპი (შემდგომში კომპანია ან მშობელი კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რომელიც დაარსებულია 2009 წლის 29 მაისს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205279884.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების განვითარება და იჯარით გაცემა, ასევე სპა ცენტრის ფუნქციონიორება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქ., №24.

მშობელი კომპანიის მეწილეები: მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის 100% -ს ფლობდა შპს „ელიტ პრო“(404554059), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი არის რაუფ ალიევი.

ჯგუფის სტრუქტურა. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შემდეგი საწარმოების (ერთად ჯგუფი) წილს ფლობდა:

		წილი/ხმის უფლება (%)	
შვილობილი კომპანია	**საქმიანობის სახე**	**2024**	**2023**
შპს ნავთობბაზა	არააქტიური, უძრავი ქონების განკარგვა	100%	100%
შპს თეატრები აპოლო	არააქტიური, უძრავი ქონების განკარგვა	80%	80%

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მართებულობაზე მსჯელობისას გამოყენებული შეფასებები და მსჯელობა მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-

ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	**ევრო**
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინაადმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირიადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესა იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ტრანსპორტი	5
შენობა-ნაგებობები	50
სპა ინვენტარი	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7

საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. ჯგუფი საინვესტიციო ქონების აღსარიცხად იყენებს თვითღირებულების მოდელს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა 50 წლით.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება**. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და გუდვილს ამორტიზირება ერიცხება წრფივი მეთოდით მაქსიმუმ 10 წლის ვადით.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც

წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.
საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

მშობელი კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მფლობელთა გადაწყვეტილებით. წილის ნომინალური ღირებულებაზე ნამეტი აღიარდება საემისიო კაპიტალად.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. სპა მომსახურებასთან დაკავშირებული ვაუჩერებისა და სასაჩუქრე ბარათების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი არ აღირიცხება გაყიდვის მომენტში. აღნიშნული ვაუჩერებიდან მიღებული თანხა თავდაპირველად აღირიცხება როგორც მიღებული ავანსი, რაც ასახულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომში, როდესაც ვაუჩერი გამოიყენება და შესაბამისი სერვისი მიეწოდება მომხმარებელს (ან პროდუქტი მიეწოდება), შემოსავალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. ამასთან გაუქმებული ან გამოუყენებელი/ვადაგასული ვაუჩერები, რომელთა გამოყენება მომხმარებლის მხრიდან აღარ არის მოსალოდნელი, აღირიცხება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანიის შესრულების ვალდებულება წყდება.

ჯგუფი ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც ჯგუფი რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:
ა) ჯგუფი შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და
ბ) გრანტი იქნება მიღებული.
სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ ჯგუფს არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს აკუმულირებული ზარალი 18,235 ლარის ოდენობით. ამასთან ერთად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები აჭარბებს მიმდინარე აქტივებს 8,197 ლარით.

მენეჯმენტმა იმის შესაფასებლად აქვს თუ არა ჯგუფს უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ შეაფასა არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. მიუხედავად იმის, რომ ჯგუფს უფიქსირდება ზარალი, ბოლო ორი წელია საოპერაციო შედეგი დადებითია რაც ასევე ხელს უწყობს ლიკვიდურობის შენარჩუნებას.

ზარალი ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო ხარჯით, რომელიც ჯგუფს ერიცხება მეწილისგან მიღებულ სესხზე. აღნიშნული სესხის დაფარვის ვადაა 2028 წელი. შესაბამისად ჯგუფს ჯერ ჯერობით არ უდგას აღნიშნული სესხების დაფარვის ვალდებულება. მენეჯმენტი და მეწილე მომავალ წლებში შეაფასებენ არის თუ არა საჭირო გარკვეული ცვლილებების შეტანა არსებულ სესხის ხელშეკრულებაში. ამასთან მეწილემ მოამზადა მხარდაჭერის წერილი, რომლის თანახმადაც იმ შემთხვევაში, თუ 2028 წელს აღნიშნული სესხის დაფარვა საფრთხეს შეუქმნის ჯგუფის ოპერირებას, არ მოხდება სესხის დაფარვა და კომპანიიდან რესურსის გადინება. კომპანიას ასევე აქვს ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი, რომელის გახანგრძლივება ხდება ყოველწლიურად და მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნული სესხის რსტრუქტურიზაციას და ჩახურვას, მას შემდეგ რაც ჩაიხურება მეწილისგან მიღებული სესხი. გარდა ამისა მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ფინანსური შედეგებისა და მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, მენეჯმენტს სჯერა, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება მართებული და შესაბამისია ჯგუფისთვის.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან.

5. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავლები იჯარიდან	4,733	4,513
შემოსავლები სპადან	2,495	2,488
შემოსავალი ქეითერინგული მომსახურებიდან	382	378
სხვა შემოსავალი	16	147
სულ	**7,626**	**7,526**

ჯგუფი ფლობს სპა & გამაჯანსაღებელ ცენტრს, რომლის ძირითადი მომსახურებებია ტრადიციული ტაილანდური მასაჟი, შვედური მასაჟი, არომა მასაჟი, აბაზანის პროცედურები და სხვა გამაჯანსაღებელი და სარელაქსაციო პროცედურები. სპა გამაჯანსაღებელ ცენტრში შესაძლებელია მომსახურების მიღება თანხის გადახდით ან ვაუჩერების საშუალებით.

ჯგუფმა 2024 წლიდან დაიწყო ისეთი ვაუჩერების აღრიცხვა, რომელიც არ იყო გამოყენებული პერიოდის ბოლოს და საანგარიშგებო პერიოდში შესყიდული და გაუხარჯავი ვაუჩერები 2024 წლის შემოსავალში არ არის აღიარებული.

ჯგუფს საკუთრებაში აქვს საოფისე ფართები და ავტოსადგომი, რომელიც სრულად არის გაცემული გრძელვადიანი საიჯარო კონტრაქტებით.

6. სპა მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,543)	(1,327)
მომსახურების გაწევისას გახარჯული მარაგები	(562)	(582)
იჯარის ხარჯი	(341)	(341)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(259)	(267)
კომუნალური ხარჯი	(242)	(191)
სხვა	(140)	(138)
სულ	**(3,087)**	**(2,846)**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,521)	(1,197)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(622)	(735)
კომუნალური ხარჯი	(372)	(332)
იჯარის ხარჯი	(303)	(298)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(263)	(269)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(68)	(118)
საკონსულტაციო ხარჯი	(27)	(28)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(21)	-
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	-	22
სხვა	(382)	(299)
სულ	**(3,579)**	**(3,254)**

8. სხვა საოპერაციო შემოსულობა

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა გაყიდა საინვესტიციო ქონება. კერძოდ, შპს ნავთობ ბაზის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. მის.: მარნეული, იაღლუჯი. სხვა შემოსავალი 706 ლარის ოდენობით სრულად უკავშირდება აქტივის გასვლიდან მიღებულ მოგებას.

9. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
დაკავშირებული მხარეების სესხების საპროცენტო ხარჯი	(4,416)	(4,336)
ფინანსური ინსტიტუტების სესხების საპროცენტო ხარჯი	(1,268)	(1,320)
სხვა	-	(6)
სულ	**(5,684)**	**(5,662)**

10. საკურსო მოგება/(ზარალი)

	2024	2023
მიღებული სესხები	(1,926)	189
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(3)	(4)
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	(1)	(1)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1)	8
სულ	**(1,931)**	**192**

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობები	საოფისე და სპა ინვენტარი	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2022	**1,911**	**2,750**	**16**	**2,350**	**7,027**
შემოსვლა	-	77	-	31	108
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**1,911**	**2,827**	**16**	**2,381**	**7,135**
შემოსვლა	-	143	-	-	143
გასვლა/ჩამოწერა	-	(44)	-	-	(44)
31 დეკემბერი 2024	**1,911**	**2,926**	**16**	**2,381**	**7,234**
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2022	**(575)**	**(1,833)**	**(11)**	**(2,350)**	**(4,769)**
ცვეთის ხარჯი	(38)	(219)	(3)	(31)	(291)
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**(613)**	**(2,052)**	**(14)**	**(2,381)**	**(5,060)**
ცვეთის ხარჯი	(38)	(209)	(1)	-	(248)
გასვლა	-	23	-	-	23
31 დეკემბერი 2024	**(651)**	**(2,238)**	**(15)**	**(2,381)**	**(5,285)**
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	**1,298**	**775**	**2**	**-**	**2,075**
31 დეკემბერი 2024	**1,260**	**688**	**1**	**-**	**1,949**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ბალანსზე არსებული იმ სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომლებსაც კვლავ იყენებს, შეადგენს 1,841 ლარს (2023: 1,344 ლარი).

12. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	შენობები	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ საინვესტიციო ქონება
31 დეკემბერი 2022	**28,140**	**14,063**	**4,182**	**46,385**
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(20)	(20)
31 დეკემბერი 2023	**28,140**	**14,063**	**4,162**	**46,365**
შემოსვლა	45	-	-	45
გასვლა/ჩამოწერა	(1,583)	(401)	-	(1,984)
31 დეკემბერი 2024	**26,602**	**13,662**	**4,162**	**44,426**
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	**(4,403)**	**-**	**-**	**(4,403)**
ცვეთის ხარჯი	(711)	-	-	(711)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**(5,114)**	**-**	**-**	**(5,114)**
ცვეთის ხარჯი	(633)	-	-	(633)
გასვლა	541	-	-	541
31 დეკემბერი 2024	**(5,206)**	**-**	**-**	**(5,206)**
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	**23,026**	**14,063**	**4,162**	**41,251**
31 დეკემბერი 2024	**21,396**	**13,662**	**4,162**	**39,220**

კომპანიის ბალანსზე არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობაზე მიმდინარე პერიოდში სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია. კომპანია სამომავლოდ განიხილავს აღნიშნული ობიექტების იჯარით გაცემას ან გაყიდვას.

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მარაგები სპა მომსახურებისთვის	122	138
სხვა მარაგები	6	11
სასაქონლო მატერიალური მარაგები, ბრუტო	**128**	**149**
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე შემცირება	(21)	-
სულ:	**107**	**149**

14. გადასახადები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	292	432
სხვა მოთხოვნები	23	6
სულ ფინანსური მოთხოვნები	**315**	**438**
საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი	(11)	(11)
ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	**304**	**427**
გადახდილი ავანსები	45	56
შემცირება მიუღებელი თანხებით	(26)	(26)
სულ	**323**	**457**

საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვის მოძრაობა:	**სავაჭრო მოთხოვნები**
31 დეკემბერი 2022	**(11)**
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის გამოყენება/(დარიცხვა)	-
31 დეკემბერი 2023	**(11)**
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის გამოყენება/(დარიცხვა)	-
31 დეკემბერი 2024	**(11)**

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,079	726
ფული სალაროში	4	3
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1	3
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**1,084**	**732**

17. კაპიტალი

მშობელ კომპანიას 2024 წლის განმავლობაში ჰყავდა ერთი მეწილე: შპს "ელიტ პრო"(404554059) (100% წილი).

2024 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში არ განხორციელებულა ცვლილებები.

მშობელ კომპანიას 365 ლარის ოდენობის სესხი აღებული აქვს იურიდიული პირისგან, რომელმაც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში მშობელ კომპანიას აპატია არსებული ვალდებულება.

18. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხი	**ვალუტა**	**დაფარვის ვადა**	**საპროცენტო განაკვეთი**	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
მეწილე	აშშ დოლარი	2028	LIBOR+2%	50,452	44,109
მოკლევადიანი სესხი					
ფინანსური ინსტიტუტები	ლარი	2025	15%	9,220	9,355
სხვა	აშშ დოლარი	2025	LIBOR+2%	-	366
სულ მოკლევადიანი სესხები				**9,220**	**9,721**

18. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მეწილისგან მიღებული სესხის თავდაპირველი აღიარება მოხდა მომავალი გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სესხის საწყისი აღიარებისას სხვაობა საბალანსო ღირებულებასთან, აღიარებულია პირდაპირ კაპიტალში, როგორც მეწილეებთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი.

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი 2024 წელს დადებული დამატებითი შეთანხმების საფუძველზე გაგრძელებულია 2025 წლის 15 თებერვლამდე, რომელიც 2025 წელს დამატებით გახანგრძლივდა.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	225	2,414
მიღებული ავანსები	216	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	75	187
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**516**	**2,601**

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხები	მეწილე	50,452	44,109

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	270	181

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „კონფიდენს გრუპი“
კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

კონფიდენს გრუპი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის გენერალური დირექტორია ოზგურ დურდაბაქი.

კომპანიის წილს ფლობს შემდეგი კომპანია: შპს "ელიტ პრო"(404554059) - 100%

შპს „კონფიდენს გრუპი“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს (შემდგომში ჯგუფი) :

კომპანიის დასახელება	**საქმიანობის ტიპი**	**წილი%**
შპს ნავთობბაზა	უძრავი ქონების მართვა	100%
შპს თეატრები აპოლო	კინოთეატრების ორგანიზება და ექსპლოატაცია	80%

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

შპს „კონფიდენს გრუპი“ (მშობელი კომპანია)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, სარემონტო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება და სპა ცენტრის მომსახურება. კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები. შპს „კონფიდენს გრუპი“ ბიზნესსაქმიანობას წარმართავს შემდეგ ლოკაციაზე:

საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქ., №24.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2024	**2023**
შემოსავლები საიჯარო კონტრაქტებიდან	4,733	4,518
შემოსავლები სპადან	2,495	2,486
შემოსავალი ქეითერინგული მომსახურებიდან	382	377
სხვა შემოსავალი	16	145
სულ	**7,626**	**7,526**

შპს ნავთობბაზა

შპს ნავთობბაზამ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში სრულად გაყიდა საკუთარ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება.

შპს თეატრები აპოლო

შპს თეატრები აპოლოს მფლობელობაშია ქალაქ თბილისში არსებული კინოთეატრი. კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს მხოლოდ აღნიშნული უძრავი ქონება.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2024 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ოზგურ დურდაბაქი.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის შემოსავალმა შეადგინა 7,836 ლარი, რაც 1,33%-ით მეტია 2023 წლის ანალოგიურ მონაცემზე.

შემოსავლების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:	2024	2023
სულ შემოსავალი	7,626	7,526
სულ აქტივები	42,717	44,673
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	80	80
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	-0.16	0.11
მარაგების ბრუნვადობა (დღე)	12.66	19.17
კრედიტორების ბრუნვადობა (დღე)	(36.23)	333.60
დებიტორების ბრუნვადობა დღე	15.02	22.15

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „კონფიდენს გრუპის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 70-დან 90-მდე, ხოლო ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 80 თანამშრომელს. ჯგუფს აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, შპს „კონფიდენს გრუპი“ პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. ჯგუფი განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებაა საკუთარი ძალებით შექმნილი საოფისე ფართის იჯარით გაცემა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დამდგარა

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკენომიკური პარამეტრები:

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694*	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33,8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ერთეული აშშ დოლარი	9,141.4	8,210
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2,5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8	1,595
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

*ფინანსური ანგარიშგების გამოცემისას მონაცემები არ იყო განახლებული

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საქონლის/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ზოგად ეკონომიკურ/პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე.

დედა კომპანია მსხვილ კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები

გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რაც წარმოიქნება უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით, ხოლო მიღებული დაფინანსება სრულად კონცენტრირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აგვისტოს.

ოზგურ დურდაბაქი
დირექტორი

ნინო ჯიგუაშვილი
მთავარი ბუღალტერი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები

გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რაც წარმოიქნება უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით, ხოლო მიღებული დაფინანსება სრულად კონცენტრირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 14 აგვისტოს.

ოზგურ დურდაბაქი დირექტორი	ნინო გიგუაშვილი მთავარი ბუღალტერი